

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ბოდავის I ქუჩის მონაკვეთისთვის მხატვრის, იოსებ (სოსო) გაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ჩუღურეთის რაიონში, ბოდავის I ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მხატვრის, იოსებ (სოსო) გაბაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





KA000077910775919

№ 05/1458

29 / ოქტომბერი / 2019 წ.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ
 გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგმართავთ თხოვნით განიხილოთ ქ.თბილისში გამოჩენილი ქართველი მხატვრის იოსებ(სოსო) გაბაშვილის სახელის მინიჭების შესაძლებლობა.

ზოგადი ცნობები იოსებ გაბაშვილზე: იოსებ (სოსო) გაბაშვილი დაიბადა 1908 წლის 28 თებერვალს. სწავლობდა თბილისის ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, სადაც მას ხატვა ასწავლა იაკობ ნიკოლაძემ. 1926-1930 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

1934 წლიდან გახდა სამხატვრო აკადემიის მასწავლებელი და შემდეგ პროფესორი;

იოსებ გაბაშვილი მოდერნისტი მხატვრების მეორე თაობაა. თუმცა მას მხოლოდ 1920-იან წლებში, ანუ გაბაშვილის პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება, მისი მოდერნისტული მხატვრობის შემკვიდრება საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართული მოდერნიზმის ისტორიაში. მაგრამ აღნიშნული პოლიტიკურ-იდეოლოგიური სიტუაციის გამო, ბევრი სხვა ხელოვანის მსგავსად, ვერ კიდევ არა თუ დაფასებული, არამედ სრულიად შეუსწავლელია.


იოსებ გაბაშვილი ხელოვნების სხვადასხვა დარგში მუშაობდა — იყო ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი, თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალთან, 1937 და 1939 წლებში ნ. შენგელაიას ორი ფილმის მხატვარი იყო, 1940-იანი წლებიდან გახდა მოზარდ მაყურებელთა თეატრის მხატვრი.

იოსებ გაბაშვილი გარდაიცვალა 1973 წელს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის მერე. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. სიცოცხლის უდიდესი პერიოდი ცხოვრობდა პეტრიაშვილის ქუჩის 20 ნომერში, პეტრიაშვილის ჩიხთან.

გთხოვთ, მისი ღვაწლის უკვდავსაყოფად, განიხილოთ თბილისში პეტრიაშვილის ჩიხის ან რომელიმე სხვა ქუჩისთვის იოსებ გაბაშვილის სახელის მინიჭების შესაძლებლობა.

პატივისცემით,

რექტორი



გიორგი გუგუშვილი



იოსებ(სოსო) გაბაშვილი

(1908-1973)

საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი

დაიბადა ვლადიკავკაზში. სწავლობდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ხატვას იაკობ ნიკოლაძე ასწავლიდა. 1925–1930 წწ. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში; 1934 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას; 1927 წლიდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. თანამშრომლობდა ჟურნალებში „დილა“, „პიონერი“. ი. გაბაშვილის დაზგური ნამუშევრებია: „გოგონა წყაროსთან“, „შოთა რუსთაველის პორტრეტი“, ნახატების სერია „აკაკი წერეთლის ცხოვრებიდან“. აკვარელის ტექნიკით შესრულებული აქვს სერია „საქართველოს ისტორიული ძეგლები“. 1970 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვარის წოდება. იგი მოდერნისტი მხატვრების მეორე თაობაა. მისი მოდერნისტული მხატვრობის მემკვიდრეობა საკმაოდ მნიშვნელოვანია და ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

თავისი ძირითადი სპეციალობის, ფერწერისა და გრაფიკის გარდა, წარმატებით მუშაობდა სცენოგრაფიაში, პლაკატისა და ილუსტრაციის ჟანრში. განსაკუთრებულ დიდი წვლილი შეიტანა საბავშვო წიგნის გრაფიკაში. იოსებ გაბაშვილი წლების მანძილზე იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ხატვისა და ფერწერის კათედრის პროფესორი.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.